№ 41. 15 ოქტომბერს 1871 15 ოქტომბერს № 41.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

გაზეთის ფასი

თფილისში და გარეშე ადგილებში:	გაგზავნით	გაუგზავნელათ:
ერთისს წლისა	— 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევარის წლისა	— 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 — 50 კ.	— — — 2
ერთის თვისა	— 1 —	— — — „ — 75 კ.
ცალკე ერთის ნომრისა		— — — „ — 15 კ.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით —ასოზე 1/2 კაპ.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ამატუნის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ქუთაისში — ბ. ქალანდარაშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლ. ლოლუასთან ბაგარინის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახლში.

აეტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეექვსე.

შინაარსი

საქართველო: ჩვენი სილარიბე,—ამხანაგობით ყველის კეთება ჩვენში და უფ. ახელედიანი,—ბორიდგან („დროების“ კორრესპონდენცია),—თფილისში უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე. რუსეთი: წვრილი ამბები.—უცხო ქვეყნები:—საფრანგეთი,—ინგლისი,—ავსტრია და ბენგრია,—ამერიკის შეერთებული შტატები.—სამართალი: „რუსის უწყებების“ საქმე.—ნარევი.—

ფელტონი: ცხელ-ცხელი ამბები—აკ. წერეთლისა.

როგორ გვესმის ჩვენ სიყვარული?—ს. წკეპლაძისა.

საქართველო

ჩვენი სილარიბე

„დროების“ უკანასკნელ ნომრებში ჩვენი მკითხველები რამდენსამე სილნალიდგან გამოგზავნილ კორრესპონდენციებს შეხვდებოდნენ. უმთავრესი აზრი ამ კორრესპონდენციებისა ის იყო, რომ თვითონ სილნალში, სილნალის მაზრაში და საზოგადოთ ქიზიყში ქართველი თავად-აზნაურობა და განსაკუთებით გლეხ-კაცობა ძალიან გაჭირებულ და შევიწროებულ მდგომარეობაშიაო; კაი ხანია სილნაღელებს უმთავრესი ცხოვრების წყარო—ღვინო—რიგიანათ არ მოსვლიათო და რაც მოსდით, ისიც სომხებს მიაქვთ ვალშიო; მართალია, პური კარგათ მოდისო, მაგრამ ისიც ვალში გადისო. ერთი სიტყვით, ზემოხსენებული კორრესპონდენციებიდამ ცხადათ ჩნდა, რომ სილნალის მაზრა ამ ჟამად ძალიან ცუდ ეკონომიურ მდგომარეობაშია და, „თუ ეს მდგომარეობა ასე დარჩა ამ ათ წელიწადსო, ამბობს ერთი ჩვენ კორრესპონდენტთაგანი, უეჭველია ქართველების ხელში ველარაფერს მამულს ველარ ნახავთ და თვითონ ისინიც გადაცვივიან საითმე, ან სხვის ყმები გახდებიანო.“

ბანა მარტო ქიზიყში ვართ ქართველები ამნაირ გაჭირებულ მდგომარეობაში და სილარიბეში ჩავარდნილნი? ველგან, ქართლში, იმერეთში, სამეგრელოში, ბურიაში და სხვაგან სადაც კი ვართ ქართველები, ყველგან განსაკუთრებით გლეხ-კაცები ღარიბები და საწყლები არიან. ველგან ეს გლეხ-კაცი, შეძლების დაგვარად, შრომობს, თუ მიწას, თუ ვაზს, თუ ვაჭრობას ალევს თავის ღონეს და ძალას, მაგრამ ჩნდებიან ისეთი პირები, რომელნიც განუკითხავად და შეუბრალებლათ სარგებლობენ იმათი შრომით. მართალია, ზოგი ადგილები ჩვენი ქვეყნისა ბუნებით მდიდარია და ზოგი უფრო ღარიბი, ზოგან ყოველ გვარი ნამუშავარი და უმთავრესი იმათგანი, პური და ღვინო, ძალიან კარგათ მოდის, ზოგან კი ნაკლებად, ზოგან ბევრი საბალახე ადგილები და ტყეა, ზოგან კი ცოტა. მაგრამ ისეთ კუთხეს კი მაინც ვერსად იპოვით ჩვენში, რომ, თუ კი მოინდომა და იშრომა კაცმა, ამ ადგილ-მამულიდამ საკმაო საცხოვრებელი ღონის-ძიების მოპოება არ შეეძლოს. თუ ღვინით არა—პურით, თუ პურით არა—პირუტყვით, თუ პირუტყვით არა—ტყით, თუ ტყით არა—ვაჭრობით, და თუ ვაჭრობით არა—რაიმე ხელობით, ერთი სიტყვით, რითიმე და როგორმე ყველგან შეუძლია ჩვენებურ კაცს ჩვენებური ბუნებით ისარგებლოს და საცხოვრებელი ღონის-ძიება მოიპოვოს. ნამდვილ კი რას ეხედავთ ჩვენში? ნამდვილ ვხედავთ, რომ ჩვენებური კაცი მართლა შრომობს, მართლა ყველა ღონის-ძიებას ხმაროს ცხოვრების შეძლება მოიპოვოს, მაგრამ ამ შრომით და მეცადინეობით, არა თუ სიმდიდრეს, ცხოვრებისთვის აუცილებელი საჭიროების დაკმაყოფილებასაც ვერ ახერხებს. ხშირათ საჭმელი პური, სასმელი ღვინო და ტანსაცმელი აკლდება იმას. ველაფერ ამაებს პოულობს ის თავის შრომით, მაგრამ, რაღაცა უცნაურის ძალით, ველაფერი უსხლტება ხელიდამ და ისეთი პირების ხელში გადადის, რომელთაც ამათ მოპოებაში არც შრომა, არც დრო და არც ჭკუა არ დაუხარჯავთ.

აქ ერთი კერძოობითი შენიშვნა უნდა ჩაუმატო. ახლად გამოსულს „მნათობში“ უფ. წყალტუბელი ამბობს: არიან ჩვენში, თუმცა ძლიერ ძვირად, ისეთი მეპატრონეებიც, რომლებიც არათუ არა ჰკარგავენ თავიანთ საკუთრებას, არამედ კიდევაც უმატებენ იმას. ამ გვარებს ეკუთვნიან, ზოგიერი დიდი მამულების პატრონებს გარდა, თითქმის მთელი ჩვენი გლეხ-კაცობა.“ ჩვენი გლეხ-კაცების გაჭირვებული მდგომარეობა ცოტათი მაინც რომ სცდოდნოდა უფ. წყალტუბელს, უეჭველია, ამისთანა უაზრო და მავნებელ სიტყვებს არ წამოისვრიდა. ნეტა თუ ესმის უფ. წყალტუბელს, რომ იმის სიტყვებიდამ გამოდის, რომ, რადგანც გლეხ-კაცები უმატებენ თავიანთ საკუთრებას, თავიანთ ადგილ-მამულს, მაშა სადამე იმათი მდგომარეობა კარგია, უკეთესია, ვიდრე ადრინდელი მებატონეებისა, რომელთ ცხოვრებას ისეთის მწუხარებით და ნაღვლით სწერს? აგრეა, უფ. წყალტუბელო ბატონო?

ისევ ჩვენ საგანს შეუდგეთ. უბრალო მშრომელი ხალხი მარტო ჩვენში კი არ არის ისეთს მდგომარეობაში, როგორიც ზემოთ აღვწერეთ: ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენზე უფრო განათლებულ ინგლისში და სხვა ევროპის გამოჩენილ და შეძლებულ სახელმწიფოებში მშრომელი ხალხი, ზოგიერთი მხრით, თითქმის უფრო ღარიბი და უფრო ცუდ მდგომარეობაშია, ვიდრე ჩვენში. მართალია, ინგლისის პროლეტარიატის მდგომარეობამდი, რომელსაც არც მიწა-წყალი, არც სახლ-კარი მოეძევა და რომელიც დღიური ქირით სცხოვრებს და სრულიად თავის მექარხნის ხელშია,—ამ მდგომარეობამდი, მართალია, ჯერ ჩვენ გლეხკაცს არ მიუწევია. მაგრამ, ვინ იცის, თუ ახლანდელსავით წავიდა საქმე, იქნება ამ მგომარეობასაც მოვესწროთ; ჩვენი გლეხ-კაცობა ხანდისხან ისეთ მდგომარეობაში ვარდება, ისეთი გაჭირვება მიადგება ხოლმე იმას ხშირათ კარზე, რომ, არა თუ მამულს, სულსაც კი დააგირავებს, რომ შეეძლოს; და მამულის დაგირავება და იმის დაკარგვა რომ ერთი და იგივეა—ეს ყველამ ვიცით, რადგან ჩვენებური ფულის გამცემი და გირაოთ ამღები ძალიან დახელოვნებულია მამულის „კანონიერათ“ დასაკუთრებაში. მაგრამ, ამას გარდა, ჩვენსა და უცხო ქვეყნებში ის განსხვავებაა, რომ იქ თვითონ საზოგადოება, მთავრობა და ხილხი ზრუნავენ ამ სილარიბეზე და ყველა ღონეს ხმაროენ, რომ მოიშორონ ის თავიდამ. იქ მართებლობა სცემს ღარიბი ხალხის სასარგებლო კანონებს, საზოგადოება აძლევს იმათ ყოველ მხრივ შემწეობას, განათლებულები ათას ნაირ საშუალებას შოულობენ ღარიბი მუშებისთვის, თვითონ მუშებიც ერთმანეთს უახლოვდებიან, არდგენენ სხვა და სხვა საზოგადოებებს, ერთად მუშაობენ და ამნაირათ ერთმანეთს ხელს უწყობენ. ჩვენი ღარიბი გლეხისთვის მხოლოთ მართებლობა ზრუნავს; უმაღლესი „გა-

ფელტონი

ცხელ-ცხელი ამბები

ალლა-ვერდი!

ალლა-ვერდი ჩვენ ქალებს!
ალლა-ვერდი კნიაზებს!
ალლა-ვერდი კნიაჟნებს,
შმანკოების ვაზებს!!!

—

ბუშინ გვქონდა მოლხენა,
დღეს რათ მოგვიწყენია?
რათ ჩაგვვარდნია ენა,
ხომ არაფრის გვრცხვენია?!

—

მდიდრულის მორთულობით
აკი ჩვენ გვაკვირებდით;
არ სწუხდით უფულობით
და ვაჭრებს იპირებდით!..

—

დღეს უსალამო განა
ბილელავსთ ეგ გულ-მკერდი,
როს არშინით თქვენთანა,
მოდიან: „ალლა-ვერდი.“

—

მ-შა მისის წვერებით
მოდის, თანაც ახველებს;
ტყვილათ ნუ ეფერებით:
„არაო“—აქნევს ხელებს.

—

ეფიცავს დაბადებას,
ეხსენიებს თავის სჯულს;
არ გაძლევსთ მოცდის ნებას,
დღესვე თხოულობს მის ფულს!

—

ალლა-ვერდი კნეინებს! და სხვ.

—

შალ-მა დილ-დილობით
ჩამოუვლის კნეინებს;
ჩვეულებრივ ზდილობით
მუსაიფით აცინებს.

—

ფულებს არ სთხოვს, ვექსილს სცვლის,
წვერებზედაც ხელს ისვამს,
მაენზედ სარგებელს ათვლის,
ერთი ორად ზედ ისვამს!...

—

მერე კოხტურად თავს ჰხრის,
ზდილობით აძლევს სალამს
და რა ყურთმაჯს შეიყრის,
ბულში სხვა გრძნობას მალამს!...

—

ალლა-ვერდი ჩვენ ქალებს! და სხვ.

—

ესპანიოლკით ბრძნულად
მოდის ფიფ—შვილი
თავს გიკრავსთ ფრანციცულად,
პირზედ მოსდის ღიმილი.

—

„პარდონ! რომ შეგაწუხეთ.
მაგრამ მისთვის მოველი,
რაც ნისია წაიღეთ,
იმის ფულებს მოველი!

—

„ეე ვუ პრი! ამავე ხნით
ბავსწორდეთ ანგარიშში,
რადგანაც ფულებს ვგზავნით,
სავაჭროზედ პარიჟში!..“

—

ალლა ვერდი კნეინებს! და სხვ.

—

ხარ—ვი მრისხანეთ
მოდის გაჯავრებული:
„რისთვის დაიგვიანეთ?
დროა გვიბოძოთ ფული!

—

„ქრედიტი ჩვენ არ ვიცით,
ესე იგი ნისია;
რა ვქნათ, ირწმუნეთ ფიცით,
რომ სავაჭრო სხვისია.

—

„ჩვენც ვყიდულობთ, ფულს ვიღებთ,
მითი გვიდგია სული
და ნურც თქვენ დაივიწყებთ,
აწ კი გვიბოძეთ ფული!“

—

ალლა-ვერდი ჩვენ ქალებს! და სხ.

—

ოჰ, წვრილ-წვრილიც, ვაჭრები
შემოდიან დას-დასად!
სირმები და ნაჭრები
ბიჯდებაო ოხვრის ფასად!!

—

ცოლი ქმარს ებუტება,
ქმარი კი ცოლს ემდურის;
ველას გული უკვდება,
ველა სიმწრის ოფლსა ჰღვრის!

—

ერთმანეთს ადებენ ბრალს,
ერთმანეთს იმდურებენ,
მაგრამ ამითი ხომ ვალს
ველარ გა-სტუმრებენ?!

—

ეჰ, რაღა გაეწყობა,
ჩვენ ადრევე ვიცოდით,
რომ თქვენი გამოწყობა,
ბოლოს დაგწვავდათ ცოდვით!

—

ალლა-ვერდი ჩვენ ქალებს!
ალლა-ვერდი კნიაზებს!!
ალლა-ვერდი კნიაჟნებს
შმანკოების ვაზებს!!!.

აკ. წერეთელი.

ნაილებული“ საზოგადოება სრულიად არ აცევ ამ საქმეს ყურადღებას. როდესაც რომელსამე საქმეზე ლაპარაკი ჩამოვარდება, ჩვენი მოწინავე საზოგადოება იმ წამსვე თავის განსაკუთებულ საჭიროებაზე იწყებს სჯას და მეცადინეობას, თითქო ყოველი საზოგადო საქმე ცალკე ამ მოწინავე საზოგადოებასაც არ შეეხებოდეს და არ მოუტანდეს ან ენებას და ან სარგებლობას!....

ჯერ-ჯერობით ჩვენი გლეხ-კაცობა ერთის მხრით უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ინგლისელი პროლეტარიატი; რაც უნდა იყოს, ჩვენი გლეხ-კაცების მომეტებულ ნაწილს მიწა-წყალი მაინცა აქვს. ამასთან ჩვენი უხვი მომცემი ბუნება რომ მივიღოთ ყურადღებაში, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველ უბრალო ხალხს არა უჭირსრა. მაგრამ, როგორც ზევითაც ვნახეთ, ჩვენი საქმე ისე მიდის, რომ გაუმჯობესობის მაგივრათ მომავალში ჩვენი უზრუნველობისაგან შავი ღრუბლები გვეჩვენებიან; ინგლისელი და საზოგადოთ სხვა ქვეყნების ღატაკი ხალხი, ადრე თუ გვიან, უეჭველია, გამოვა თავის ღატაკურ ცხოვრებიდამ და კაპიტალისტების დამოკიდებულებისაგან; მაგრამ უბედურება ის იქნება, რომ იმათ მდგომარეობაში მემრე ჩვენ ჩავარდეთ.....

იმ საშუალებებზე, რომელთაც უნდა დაგვისხნან ჩვენ ამ გაჭირვებული მდგომარეობიდამ და კიდევ უფრო ცუდი მომავლიდგან ჩვენ რამდენჯერმე გვილაპარაკნია და შემდეგშიაც ვილაპარაკებთ. ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოთ იმას ვიტყვით, რომ დროა დავფიქრდეთ ჩვენ მდგომარეობაზე.....

ჩვენში ამხანაგობით ყველის კეთება და უფ. ახვლედიანი

წლევანდელ წლის „დროების“ მეხუთე №-ში, თუ ახსოვს მკითხველს, რამდენიმე სიტყვა იყო ნათქვამი უფ. ნ. ახვლედიანზე, რომელიც ყველის და ერბოს კეთების და მეყველეების არტელების გასაცნობათ და შესასწავლათ წავიდა შარშან ტვერის გუბერნიაში, სადაც ბევრი ყველის ქარხნები და არტელებია გამართული უფ. ვერესჩაგინისაგან. უფ. ახვლედიანი რამდენიმე ხანია მას აქეთ, რაც ჩამოვიდა ქუთაისში და ამ ჟამად თფილისშია. ჩვენ ნამდვილათ შევიტყეთ, რომ იმას რიგიანათ შეუსწავლია ზემოხსენებული ხელობა და ახლა აქ, ჩვენში, ჰსურს ამ საქმეს, ე. ი. არტელების გამართვას, ხელი მოჰკიდოს. ამასთანავე ჩვენ შევიტყეთ, რომ უფ. ახვლედიანს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების შემწეობით, უნდა დაიწყოს საქმე, თუ კი ამ საზოგადოებამ ამ კეთილი საქმის თანაგრძნობა გამოაცხადა.

პირველი საარტელო ქარხნის გასამართავათ, საჭირო იქნება ორი ათას მანეთამდი და ჩვენი სამეურნეო საზოგადოებას შემწეობა ამ ფულების მიცემაში გამოჩნდება. კავკასიის სამეურნეო საზოგადოების რამდენიმე ათი ათასი მანეთი ეძლევა (ვგონებთ, 30,000 მანეთზე მეტი) ყოველ წელიწადს ჩვენებური მეურნეობის ხელის მოსამართავად. მაშასადამე, თუ ზემოხსენებულ საქმეს მხარისთვის სასარგებლოთ და მოხერხებულათ დაინახავს, სამეურნეო საზოგადოებას პირველათ ხელის მომართვა შეეძლება. უფ. ახვლედიანს, როგორც გავიგეთ, სამეურნეო საზოგადოებასთან თავიდამვე საქმის დაჭერა იმიტომ უნდა, რომ მაშინ ის სრულიად დამოუკიდებელი იქნება და სადაც უფრო შესაძლოთ და საჭიროთ დაინახავს, იქ გამართავს ყველის ქარხანას. რამდენსამე ქუთათურ შემძლებელ მემამულეებს წინადადება მიუციათ უფ. ახვლედიანისთვის, ოღონდ ჩვენ მამულში გამართე ქარხანაო და ძროხებს და საბალახო ადგილებს, რამდენიც გინდა და რამდენიც საჭირო იქნება, ჩვენ მოგცემთო. მაგრამ ამ შემთხვევაში ქარხანა საარტელო კი აღარ იქნება, ის იქნება ერთი ან რამდენიმე მემამულის საკუთრება და მხოლოთ რამდენსამე პირს მოუტანს სარგებლობას. საარტელო (ამხანაგობითი) ყველის ქარხანა კი იმითია კარგი, რომ ერთი ან რამდენიმე სოფლის გლეხები, ან სხვა ძროხის და საბალახოების პატრონები ერთად შეიკრიბებიან, ერთად მიაქვთ ქარხანაში რძე და გაკეთებული ყველითა და ერბოთი ერთად სარგებლობენ. ამ შემთხვევაში პირველი ქარხანისთვის გასამართავად ფულების ქონა აუცილებელათ საჭიროა რადგან ჩვენ სოფლელებს ვერ დაეჯერებს კაცი, რომ ეს საქმე ძალიან სასარგებლო საქმე იქნება იმათთვის და კიდეც რომ დაეჯერო, ფულებიც არა აქვთ, რომ გაიოღონ. როდესაც ვერესჩაგინშა შვეიცარიაში შეისწავლა ამხანაგობით ყველის და ერბოს კეთება და დაბრუნდა რუსეთში, პეტერბურგის მეკონომიურმა საზოგადოებამ, არა თუ პირველი არტელისთვის გასამართავი ფულები, ჯამაგირიც დაუნიშნა იმას, წელიწადში ათასი მანეთი, ოღონდ კი იშროომე ამ საქმისთვის და ტვერის და სხვა გუბერნიებში მეყველეების არტელები (ამხანაგობები) შეადგინეო და ქარხნები გამართეო. ვერესჩაგინი წავიდა ტვერის გუბერნიაში, გამართა ქარხანა და ურჩია სოფლელებს, რომ რძე მოიტანეთ, ერთად გავაკეთოთ ყველი და ერბო და მოგება გავიყოთო; მაგრამ ყველამ განზე დაუწყო ყურება და, სანამ თვითონ არ დაინახეს, რომ ეს საქმე სარგებლობას მოუტანს იმათ, მანამ კაცი არ გაუამხანაგდა და ერთად არ კიდებდენ ხელს.

უეჭველია, უფ. ახვლედიანი რომ მივიდეს რომელსამე სოფელში და ამ ნაირი წინადადება მისცეს სოფლელებს, ისინი ამ ნაირსავე პასუხს ეტყვიან და არ შეერთდებიან. ამიტომაცაა პირველათ ფულები საჭირო, რომ ხალხმა თავის თვალით დაინახოს ამ საქმის სარგებლობა და მერე თვითონაც მოჰკიდოს ხელი. რასაკვირველია, თუ ჩვენმა სამეურნეო საზოგადოებამ არ დაეხმარა უფ. ახვლედიანს ამ საქმის დაწყებაში, მაშინ ის იძულებული იქნება რომელსამე დიდ მამულიან მეპატრონეს მიმართოს და იმის მამულში გამართოს ჩვენი პირველი ქარხანა.

ეს საქმე რომ სასარგებლო საქმე იქნება, უფ. ჟუჩენბახის ქარხანაც (ბანჯაში) გვარწმუნებს, რომელსაც, როგორც გაგვიგია, 1000-მდი ძროხა ჰყავს, მაგრამ, თუმც იქ გაკეთებული ყველი გვარიანი ძვირია, ჩვენ ქალაქებსაც არ ჰყოფნის, იმდენი მოთხოვნილებაა. უფ. ახვლედიანის სიტყვით, იმ ნაირი ყველი, რომელსაც ჟუჩენბახი ათ შაურათ ჰყიდის, ექვს შაურათ რომ გაიყიდოს, მაინც პატრონს საკმაო მოგება დარჩებაო. ეს მოგება, ჩვენი აზრით, უფრო მომატებული იქნება, თუ ქარხნებში ყველს გარდა, ერბოც გაკეთდა და ლორებიც მოაშენეს, რომელთაც ყველისა და ერბოს ნახარშს შემდეგ დარჩენილი წაქი ასე ასუქებს. ამას გარდა ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ დღეს თუ ხვალ ქუთაისსა და თფილისს შუა რკინის გზა მზათ იქნება და ქუთაისის გუბერნიაში რომ ქარხანა გაიმართოს, ოდესაში და სამზღვარს გარეთ ყველი და ერბო ადვილი გასატანი იქნება.

ერთი სიტყვით, ჩვენში ეს საქმე ძალიან კარგათ წავა და ბევრ სარგებლობას მოიტანს, თუ კი დასაწყისი მიეცა და უფ. ახვლედიანმა თადარიგიანათ მოჰკიდა იმას ხელი. ჩვენ მხოლოთ იმას ვისურვებთ, რომ ეს სარგებლობა იმას ერგოს, ვისაც ხელის მომართვა და დახმარება ყველაზე უფრო სჭირია ახლა ჩვენში.

ქრონიკა

ბორიდან

(„დროების“ კორრესპონდენცია).

„ლავრენტის შკოლა.“

ლავრენტი არის ბორის ოქონის ღვთისმშობლის ეკკლესიის დიაკონი, შთამომავლობით ჰაოსიანი, ხოლო სარწმუნოებით მართლმადიდებელი. ამ დიაკონს სისტემატიკური სწავლა არსად არ მიუღია; მაგრამ, როგორც ეცნევა, ნიჭი და ენერგია სწავლისადმი დიდძალი ყოფილა იმაში, და ეს ნიჭი რომ თავის რიგით გახსნილიყო, უეჭველია, სამაგალითო კაცი რამ გამოვიდოდა.

აი ეს თორმეტი წელიწადია თურმე, რაც ეს დიაკონი ბორში ცხოვრებს და ამ თორმეტი წლის განმავლობაში, თავის პირ-და-პირი თანამდებობის გარდა, სულ მასწავლებელის ასპარეზზე ყოფილა და ახლაც მაზედ იღვაწვის. ამას აქვს თავის საკუთარ სახლებში გამართული შკოლა, რომელშიაც ასწავლის ბავშვებს ქართულ-რუსულ წერა-კითხვას, ხუცურ კითხვას და ქართულ-რუსულ ანგარიშსა.

ამ შკოლას ბორში უძახიან „ლავრენტის შკოლას“, მისთვის რომ, როგორც ზეითვე გაიგებდა მკითხველი, მის პატრონს და მაშ ბავშვების მასწავლებელს ლავრენტი ჰქვიან სახელათ. ეს შკოლა, სწორე ვსთქვა, ახალი მეთოდით არა მიაქცევს არავის ყურადღებას თავის თავზე; მაგრამ მით, რომ ამ შკოლაში ყოველ დღე, უქმ დღეებს გარდა, შეგიძლიანთ დასთვალოთ ასი და ოთხმოცზე ნაკლები აღარა მოსწავლე, არამც თუ მარტო ბორიდგან, არამედ სოფლებიდგანაც, მით უფრო კიდევ, რომ ფასი სწავლებისა გამოუთქმელათ მცირეა-თვეში ერთი აბაზი და საწყლებზედ სულ არაფერი,—არამც თუ არ მიაქცევს ვინიმე ყურადღებას თავის თავზე, არამედ შესანიშნავი და საქებიც არის ყოველ შემთხვევაში. ამ შკოლაში დაიარებიან აქაურ სახლეხო სასწავლებლიდგანაც ვაკაციების დროს, რადგანაც ლავრენტის შკოლა ვაკაციების დროს არ იკეტება ხოლმე.

თუ ამისთანა უბრალო შკოლაში ამდენი ხალხი დაიარება, კარგათ გამართულ შკოლაში რამდენმა უნდა ისწავლოს! ბანა ცხადათ არა ჩანს აქედამ—როგორ ეტანება ჩვენი ხალხი სწავლას!

ჭ. ზ.

ბორი. 10-ს ოქტომბერს

როგორ ვვესმის ჩვენ სიყვარული?

(ფსიხიური დაკვირვება)

მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი
გვარი,
მიჯნურობა სხვა რამეა, არ საძვისა დასადარი;
იგი სხვაა, სიძვა სხვაა; შუა უზის დიდი მზღვარი;
ნურვინ გარევთ ერთმანერთსა,—ვესმით ჩემი ნაუბარი?

შ. რუსთველი

სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს, რომელ
არ მონებდეს,
ვინ არს, რომელ გულსა ტახტად, ოხვრას ხარკად
არა გცემდეს?
შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ველად
რბოდეს!....

ალ. ჭავჭავაძე

სიყვარული ისეთი რამ საგანია, რომლის არც ენით გამოთქმა, არც ხელით შეხება, არც კბილებით შეჭმა და არც შესმა არ შეიძლება. ის გახლავთ ისეთი გრძნობა, რომელიც ყოველ მგრძნობიარე კაცს აღენთება გულში, ვითარცა ლამპარი, ლაპლაპებს იქ და მოსვენებას არ აძლევს, სანამ ამ სიყვარულის საგანს თავის საკუთრებად არ მოიპოვებს. მაგრამ, არა; სჯობს რომ ამ უცნაური საგნის განმარტებას მე არ შეუდგე: რამდენ ბრძენთა და ფილოსოფოსთ განუზრახავთ და უმეცადნიათ სიყვარულის განმარტება, მაგრამ ვერ აუსრულებიათ თავიანთი სურვილი.....

თუმც მე არ შემიძლია ვთქვა—რა არის სიყვარული? მაგრამ მის მაგივრათ იმის თქმა კი შემიძლია—როგორი თვისებისა და რა და რა გვარია ის?

კაცის გულის ათას ნაირ გრძნობასა და მოვლენას ეძახიან სიყვარულს: დედისგან შვილის სიყვარული, ქმრისაგან ცოლის სიყვარული, ახალგაზდა კაცისაგან გასათხოვარი ქალის სიყვარული, ვაჭრისაგან ფულის თაყვანისცემა, მეგობრისაგან მეგობრის პატივი, ხელოსნისაგან თავის ნახელავის ძვირათ დაფასება—ეს სულ სიყვარულია, სულ ის გრძნობაა, რომელსაც ჩვენ მდაბიურათ „სიყვარულს“ ვეძახით.....

*
* *

ამ სხვა და სხვა გვარ სიყვარულს სხვა და სხვა გვარი თვისება და შედეგები აქვს. მაგალითად: ზოგიერთი დედისაგან შვილის სიყვარულს ის თვისება და შედეგი აქვს, რომ ამნაირი დედა უფრო ხშირათ სცემს თავის შვილს; ამნაირივე ხელის ამქავებელი ზედმოქმედება აქვს სიყვარულს იმ ქმარზე, რომელიც ჰხედავს, რომ იმის შუბლზე რქები აპირებენ ამოჩეკას; ახალგაზდა კაცს ახალგაზდა ქალის სიყვარული სიგამხდრეზე დაეტყობა, წინააღმდეგ ამისა ახალგაზდა ქალს ამ შემთხვევაში ხშირათ ზოგიერთი ნაწილები სხეულისა, გახთომის ნაცვლათ, გაუსუქდება; ვაჭარს ფულის სიყვარული შუბლის კანს უსქელეს და მუცელს უმსხვილებს და სხვ. და სხვ.

მაგრამ მე კიდევ გადავსცდი ჩემ პირ-და-პირ გზას და აქეთ-იქით დავიწყე მიხვევ-მოხვევა. ჩემი პირდაპირი გზა, ჩემი სალაპარაკო საგანი დღეს გახლავთ—განვიხილო თუ როგორ გვესმის ჩვენ ორი სქესის—მამობრივისა და დედობრივის—ერთმანეთის სიყვარული?

მაშ ჩვენი საუბრის პირველი მუხლი იქნება:

*
* *

როგორ ესმის სიყვარული ჩვენებურ ახალგაზდა ქალს?

თუმცა, რასაკვირველია, ძალიან ძნელია ჩვენებური ახალგაზდა ქალის აზრისა და გრძნობის გაგება, რადგან იმას აშკარათ ლაპარაკისა და გრძნობის გამოცხადების ძალიან რცხვენია, და უფრო ხშირათ ჩურჩული უყვარს, მაგრამ იმაზედაც ცოტაოდენი რამ შევიტყე. შევიტყე, მაგალითად, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი ქალები სამ კატეგორიათ გაიყოფებიან:

პირველ კატეგორიას ეკუთვნიან ნაზ ნერვებიანი და მუდამ მჭოხრავი ახალგაზდა ქალები, რომელთაც სიყვარული წარმოუდგებათ თვალ წინ, როგორც სხვა და სხვა ნიშნებით მხრებ და გულ შეჭედილი და ულვაშებ გაწკიპნებული ახალგაზდა კაცი, რომელიც დეზების ჩხარუნით დაატრიალებს იმათ სათამაშოზალაში.

მეორე კატეგორიის ქალებს სიყვარული წარმოუდგებათ, ვითარცა ოქროთი და ვერცხლით გატენილი ტომარა; ამ გვარ სიყვარულს ძალიან დიდი მიმზიდველი ძალა აქვს, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, ოქროსა ვერცხლის შემწეობით ყველაში და ყველაფრის, სულიერისა და უსულოს, მოპოვება და მიზიდვა შეიძლება.

მესამე კატეგორიის ქალები მუდამ ერთ სიყვარულსა და საყვარელს არ სჯერდებიან: კვირაში თითო სიყვარულს შაინც გამოიცვლიან ისინი.

ერთ ადგილას შევხდი მე ერთ ამ კატეგორიის ახალგაზდა ქალს, რომელმანც ასე ხშირათ სიყვარულის გამოცვლა შემდეგი მოსაზრებით ამიხსნა: „პირველად მე ანი მიყვარდა. უნდა გენახათ—რა მშვენიერი თვალები ჰქონდა იმას! რამდენი სიყვარული, რამდენი ცეცხლი და გრძნობა იხატებოდა ამ მთვალებში, როცა მე და ის ერთად მარტონი დავრჩებოდით! მაგრამ ცოტახანს შემდეგ მე შევხვედი ბანს. ამის თვალები ანის თვალებს უკან არ ჩამოუდგებოდა, მაგრამ მიხვრა-მოხვრით და ტანადობით კი ანს ბევრათ სჯობდა. ჩუმ-ჩუმათ, ნელ-ნელა შემეპარა მე გულ-

თფილისში უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე.

ერთს რუსულ გაზეთში *) შემდეგი თფილისიდგან გაგზავნილი უფ. მ—ის კორრესპონდენციაა დაბეჭდილი:

„მთელი აქაური საზოგადოების ყურადღება ახლა ხელმწიფის მობრძანებაზეა მიქცეული. თფილისის აზნაურობას ჰსურს სხვა და სხვა სათხოვრები წარუდგინოს ხელმწიფე იმპერატორს. სხვათა შორის აზნაურობას აქვს განზრახვა — თფილისში უმაღლესი სასწავლებელის გახსნა სთხოვოს. რადგან ეს განზრახვა საიდუმლოებას არ შეადგენს, ამიტომ ამ საქმის თაობაზე ჩვენ ორიოდე სიტყვის თქმა გვინდა.

1839 წელს საქართველოს მთავარ-მართებელი, ბარიატინი, ხელმწიფე იმპერატორის წინ შუამდგომლობდა თფილისში ისეთი უმაღლესი სასწავლებლის გახსნას, რომელსაც „უნივერსიტეტის მაგიერობა შესძლებოდა“. მაგრამ მაშინ ამ შუამდგომლობისაგან არაფერი არ გამოვიდა, რადგან თფილისში უმაღლესი სასწავლებლის გახსნა უდროოთ დაინახეს. შემდეგ, თ. ბარიატინსკის დროს, 1857 წ., ლაპარაკობდნენ ლიცეიის გახსნაზე თფილისში. ჩვენ ვიცით, რომ შტატიცა და წესდებაც მომავალი ლიცეიისა მაშინდელი კავკასიის სამასწავლო მაზრის მზრუნველისაგან შედგენილი იყო. საქმის მსვლელობიდამ ჩანდა, რომ ლიცეიის გახსნას არაფერი დაბრკოლება არა ექნებოდა; მაგრამ, საუბედუროთ, აქ ერთი ისეთი რამ გაერია, რომელმანც ჩაშალა ეს კეთილი საქმე: ლიცეიასთან ისეთი განყოფილების გამართვა მოინდომეს, სადაც სამხედრო მეცნიერება და ვარჯიშობაც უნდა ესწავლებინათ. სამხედრო უწყებამ გამოაცხადა, რომ ლიცეიაში ამისთანა განყოფილების გამართვა სრულიად უსარგებლო იქნებაო. ლიცეიის პროექტმა პეტერბურღში მაინც მიაწია და რამდენიმე წლის შემდეგ იქ შეჩერდა.

1861 წელს, როცა ხელმწიფე იმპერატორი ჭუთაისში ბრძანდებოდა, ქართველ თავად-აზნაურობამ მიართვა იმას თხოვნა, რომ ჩვენი შვილებისთვის კავკასიაში სახელმწიფო სასწავლებლები გაგვიხსენით და მანამ რიშელიეს ლიცეიაში, ოდესაში, 12 აზნაურიშვილი გაგზავნეთ სწავლის მისაღებათაო. ამ თხოვნის თაობაზე მაშინ კამისია იყო დანიშნული, რომელმანც გამოაჩინა, რომ კავკასიელი ახალგაზდები, შეუთვისებელი ჰაერის გამო, რუსეთში ვერ სძლებენ და ამას გარდა, სიშორისა და სიძვირის გამო, მომეტებული ნაწილი აქაური დედმამებისა ვერ გზავნიან იქ თავიანთ შვილებს. მაშინ გამოანგარიშებული იყო, რომ კავკასიელებისთვის სულ 160 სახელმწიფო ვაკანსია იყო რუსეთის სხვა და სხვა უმაღლესს სასწავლებლებში დანიშნული: 35 პეტერბურღის უნივერსიტეტში, 40—მოსკოვიასაში, და დანარჩენი სხვა და სხვა სპეციალურ სასწავლებლებში.

„ახლა ორიოდე სიტყვას იმაზედ ვიტყვით: დროა თუ არა, რომ კავკასიაში უნივერსიტეტი გაიხსნას? მარტო აქაურ გიმნაზიებში კურსშესრულებულების რიცხვს რომ მივაქციოთ ყურადღება,—აი რას დავინახავთ: კავკასიის სანამესტნიკოში 4 კლასიკური გიმნაზიაა და 1 რეალური. ამას გარდა კიდევ 3 პროგიმნაზიაა, რომელნიც, როგორც ამბობენ, მალე ყველა გიმნაზიებად უნდა გადააკეთონო. ოთხი ჩვენი კლასიკური გიმნაზია უკანასკნელ 100 სტუდენტს მაინც დაამზადებს მომავალი უნივერსიტეტისთვის. ამდენივე შეიძლება ჩავაგდოთ იმ პროგიმნაზიებიდამ, რომელთაც მალე გიმნაზიებად გადააკეთებენ, და რეალური გიმნაზიიდამ; ამას იმ ყმაწვილ კაცების რიცხვიც უნდა მიუმატოთ, რომელნიც შინ სწავლულობენ, შინ ემზადებიან უნივერსიტეტში შესასვლელად. ბოლოს ის გარემოებაც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ რუსეთშიაც ამოჩნდებიან ისეთი ყმაწვილ-კაცები, რომელნიც, კარგი ჰაერისა და ბუნების გამო, თფილისის უნივერსიტეტში მოინდომებენ თავის განათლების დასრულებას. ეს უკანასკნელი მოსაზრება მე იმიტომ მომყავს, რომ შარშან და წელსაც მოხდა ამის დასამტკიცებელი მაგალითები: რამდენიმე ყმაწვილი კაცი ჩამოვიდნენ რუსეთიდამ ჭუთაისში და იქაურ გიმნაზიაში შეივიდნენ კურსის გასათავებლათ. ყველა ეს გარემოებები, ჩემი აზრით, გვარწმუნებენ, რომ თფილისში უნივერსიტეტის გახსნა შესაძლებელია, რასაკვირველია, საკმაო სტუდენტების რიცხვის მხრით.“

*) „Всемірная Иллюстрація“ № 139.

რუსეთი

ერთი რუსული გაზეთის სიტყვით, განათლების სამინისტროს 9,540,818 მანეთი უთხოვია სახელმწიფო რჩევისთვის მომავალი, 1872, წლის ხარჯათ, მხოლოთ სხვა და სხვა სასწავლებლებისათვის. ეს ფულები აი როგორი იქნება განაწილებული: რუსეთის რვა უნივერსიტეტისათვის (რომლებშიაც 723 პროფესორია და 161 ჩინოვნიკი) დანიშნულია—2,166,691 მანეთი; ლიცეიებისათვის — 58,537 მანეთი; გიმნაზიების, პროგიმნაზიების სხვა და საშუალო სასწავლებლებისათვის—4,178,658 მანეთი., უეზდის სასწავლებლებისათვის — 1,161,438 მან., პირველ-დაწყებითი და სამრეველო შკოლებისთვის—237,424 მან., სახალხო შკოლების დირექციებისა და ინსპექციებისთვის, აგრეთვე ამ შკოლების გასამართავათ და მასწავლებლების მოსამზადებლათ — 645,545 მან., ისტორიკო-ფილოლოგიური ინსტიტუტი—110,848 მან.; სხვა და სხვა სპეციალური სასწავლებლებისათვის— 408,382 მან. და სხვ.

* * *

პეტერბურღში დანიშნულია კამისია, რომელმანც ახალი კანონები უნდა დაადგინოს სამხედრო წესის თაობაზე. ამ კამისიას, როგორც ერთ გაზეთს გაუგონია, მიუღია რა მხედველობაში, რომ სამხედრო სამსახურმა სწავლა არ უნდა დაუშალოს ახალგაზდა მოსწავლეებს, შემდეგი კანონები დაუდვია: სხვა და სხვა სასწავლებლების შაგირდები მხოლოთ 21 წლის რო შეიქნებიან, მაშინ ჩაირიცხებიან სამსახურში; მაგრამ ნამდვილ სამსახურში საშუალო სასწავლებლის შაგირდებს მხოლოთ მაშინ გამოაწვევენ, როდესაც 22 წლის შეიქნებიან და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს—როდესაც 27 წელი შეუსრულდებათ. ამას გარდა უნივერსიტეტში კურსშესრულებულები მხოლოთ ექვს თვეს იმსახურებენ, გიმნაზიებში და საზოგადოთ საშუალო სასწავლებლებში კურსშესრულებულები იმსახურებენ ერთ წელიწადს და პროგიმნაზიებში—ორ წელიწადს. იმისთვის რომ ხალხში განათლების გავრცელებას საშუალება არ მოაკლდეს, კამისიას ჰსურს, რომ, ვისაც პირველდაწყებითი შკოლები შეუსრულებია, იმათ ერთი წლის სამსახური მოაკლდეს; ასე რომ, ვთქვათ, თუ ახალი სამხედრო წესით, სულ ხუთი წლის სამსახური იქნება დადებული, ისინი მხოლოთ ოთხ წელიწადს იმსახურებენ.

* * *

25 სექტემბერი იყო უკანასკნელი დრო, როდესაც ნეჩაევის საქმეში დანიშნულ პროკურორსა და ადვოკატებს უნდა შეეტანათ უკმაყოფილება სამოსამართლო პალატის გადაწყვეტილებაზე. გაზეთებში სწერენ ახლა, რომ პროკურორს მხოლოთ ერთი ტაჩოვის თაობაზე შეუტანია პროტესტი (უკმაყოფილება). დამცველებში მარტო ალექსანდროვსკის ქალის დამცველი, უფ. სტასოვი, არ დარჩენილა კმაყოფილი და სამოსამართლო პალატის გადაწყვეტილებაზე უკმაყოფილება შეუტანია. ამასთანავე ამბობენ, რომ პალატა ბრალდებულებისაგან პატიობის თხოვნას მოელისო.

* * *

შარშან, 1870 წელს, პეტერბურღში სულ 666,027 მცხოვრებელი ითვლებოდა; ეს ხალხი 9,100 სახლში სცხოვრებდა. პეტერბურღს უჭირავს 9,520 დესეტინა ადგილი. შარშან პეტერბურღში 19,572 კაცი დაიბადა, ამ რიცხვიდამ 4,916 უკანონოთ დაბადებულები იყვნენ; მოკვდა ამ წლის განმავლობაში 23,096 კაცი და ქალი, მაშასადამე 3,524 კაცით უფრო მომეტებული მოკვდა, ვიდრე დაიბადა. საშუალო რიცხვით რომ გამოვიანგარიშოთ, ყოველ ოცდა ცხრა კაცში წელიწადში ერთი კვდებოდა. დღეში საშუალო რიცხვით 63 კაცი და ქალი კვდებოდა. ამ წელს 4,150 ქორწინება მოხდა, მაშასადამე ყოველ 160 კაცში ერთს კაცს შეუერთავს ცოლი და ერთი ქალი გათხოვილა.

* * *

ერთი რუსული გაზეთის სიტყვით, მომავალ, 1872, წელს ფოჩტის უწყებას 17,170,000 მანეთი ექნება სხვა და სხვა გვარი შემოსავალი, თუ წიგნების, თუ ფულების და თუ ფოჩტით სხვა რამე ნივთების გაგზავნისაგან.

* * *

წელს სექტემბერში ხერსონში ახალი საქალებო გიმნაზია გაუხსნიათ, რომლის პროგრამმა ყველა საგნების შესახებ კაცების გიმნაზიების პროგრამმას უდრის თურმე. ამ საქალებო გიმნაზიისთვის სახლიც ახლათ აუშენებიათ, რომლისთვისაც იქაურ ეიც-ლუბერნატორის ცოლს მოუგროვებია და თეითონ შეუწირავს 23,000 მანეთი.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

28 სექტემბრისთვის საფრანგეთის ღენერალურ რჩევებში (მუნიციპალიტეტში) დეპუტატების ამორჩევა იყო დანიშნული. ამ კენჭის ყრას დიდ მნიშვნელობას აძლევდენ და ამიტომ ყველა პარტიები მეცადინეობდნენ — რაც შეიძლება მომეტებული თავის მომხრეები ამის სიყვარული და ერთი თვის განმავლობაში დღე და ღამ იმის მეტი კაცი არ მახსოვდა. ერთი თვის შემდგ ერთი შვენიერი ახალგაზდა კაცი ვნახე მე ჩემ „პადრუგასთან.“ შვენივრათ მორთული, შვენიერი ტანადობის, თვალების და ამას გარდა პატარა შნოიანი ფეხების პატრონი! შემომხედა თუ არა, იმან უეცრათ მიიზიდა ჩემი გული. იმის გულისთვის როგორ არ დამავიწყდებოდა მე ანიცა და ბანიც! ეგრეც დამემართა!... ახლა ჩემი საყვარელი, ჩემი ღმერთი ის არის და არა მგონია, როდისმე ულალატო!....“

* * *

როგორ ესმის სიყვარული ახალგაზდა კაცს?

წავიდა ის ძველი რომაელებისა და ბერძნების დრო, როდესაც ახალგაზდა კაცი გასათხოვარ ქალებში ისეთს ამოირჩევდა, რომელიც უფრო ჭკუიანი, სინიდისიანი და მშრომელი იყო და იმას შესწირავდა თავის სიყვარულს! წავიდა საშუალ საუკუნოების დროც, როდესაც რომელიმე რაინდი სრულებით უანგაროთ, უზღველათ, ბზათ იყო სიცოცხლე შეეწირა თავის გულის მეფის, თავის საყვარლის მხოლოთ ერთხელ გაცინებისათვის! ახლანდელი დრო ანგარიშის და ეერცხლისა და ოქროს მეფობის დროა!

ახლანდელი ჩვენი ახალგაზდა კაცი არც ჭკუას, არც სილამაზეს, არც პატარა ფეხებს და არც ცეცხლ-მქშინავ თვალებს ყურადღებას ადარ აქცევს. როგორც ზოგიერთ ახალგაზდა ქალებს, ისე თითქმის ყველა კაცებს სიყვარული გამოეხატებათ თვალწინ, ვითარცა ოქროთ გატენილი ტომარა! რაც უფრო მაცრათაა ეს ტომარა გატენილი, ისე უფრო ნაკლებ ყურადღებას მიაქცევენ ისინი თეითონ ქალის ჭკუას, ხასიათს და ყოფა-ქცევას და ისე უფრო ღრმა და მიმზიდველი სიყვარული ენერგებათ იმათ გულში! ბანა საცოლოს ჭკუაზე, ხასიათზე და სილამაზეზე ღირს ლაპარაკი, თუ კი ფულით გატენილი ტომარა მისდევს იმას თანა! ბანა ფულით ყველა ესენი არ მოიპოვება? ამ ნაირი გახლავთ ჩვენებური ახალგაზდა და მოხუცებულის, განათლებული და გაუნათლებელი კაცის სიყვარულის იდეალი,—იდეალი, რომელსაც ისინი უფრო მომეტებულის გულსმოდგინებით მისდევენ, ვიდრე მე და შენ, ჩემო მკითხველო, მამულების დაგირავებას და ფულების შეკმას, ვიდრე ნაპოლეონი საფრანგეთის ტახტზე ხელმეორეთ შეჯდომას და ბისმარკი ბერმანიის შეერთებას.....

* * *

როგორ ესმის სიყვარული მოხუცებულ ქალსა და კაცს?

მართალი გითხრათ, მე მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის მიცემა: მე არ ვიცი—როგორ უნდა ესმოდეს სიყვარული მოხუცებულებს, მოხუცებულებს, რომელთაც თავის სიცოცხლეში იმდენი ავი და კარგი გამოუცდიათ, იმდენი გაჭირვება და სიხარული გამოუვლიათ, რომ, როგორც ფიზიოლოგია გვიმტკიცებს, იმათ გამაგრებული აქვთ ნერვები და თითქმის მოსპობილი გრძნობა და გრძნობიერობა! მაგრამ თუ კი როგორმე გამოეხატებათ სიყვარული, უეჭველია, რომ ამ გამოხატულებაში მოხუცებულ ქალს გამოესახება თავის თავმოტიტვლებული მოხუცებული „კაცი“, რომელიც დამჯდარა ცეცხლის წინ, კრიალოსნის მარცვლებს სთვლის და ხანდისხან ყმაწვილური ეშმაკობით, ჩამქრალი თვალებით გადახედავს იმას. მოხუცებული კაცი თავის სიყვარულის წარმოსადგენელათ მუდამ ერთსა და იმავე სურათს ჰხედავს და ეს სურათი, საუბედუროთ, ისეთი რამ არ არის, რომელსაც იმის ახალგაზდობის მოგონება და პოეტურ აღტაცებაში მოყვანა შეეძლოს. აი, ეს სურათი: მოხუცებული „დედა-კაცი“ მუხლმოკეცილი ზის ტახტზე, ხელში წინდის ჩხირი უჭირავს და მუდამ გაუთავებელ წინდას ქსოვს, კაცმა არ იცის—ვისთვის და რისთვის; ან დამდგარა ხატების წინ, ლავითნი ხელში უჭირავს და მწარე ცრემლებით ლოცულობს...

ხანდისხან, მართალია, ამ მოხუცებულებსაც მოაგონდებათ თავის ახალგაზდობა: მოხუცებული, კბილებ ჩამტვრეული ქალი კეკლუცურათ გადახედავს რომელსამე ახალგაზდა კაცს.... მოხუცებული კაციც, თავის მხრით, ხანდისხან დაუტრიალდება ცელქ ახალგაზდა ქალს.... მაგრამ აქედამ მხოლოთ მაშინ გამოვა რამე, თუ ამ მოხუცებულებს, დიდ ხნიანობას გარდა, სხვა რამეცა აქვთ დიდი, მაგალითად ჯიბე....

* * *

აი, ამ ნაირათ ესმისთ ჩვენებურ ქალებს კაცების სიყვარული და ჩვენებურ კაცებს—ქალებისა! ის მაღალი გრძნობა, რომელიც ბუნებას ადამიანის გასაბედნიერებლად და იმის ცხოვრების გასამშვენიერებლად და სანუგეშოდ გაუჩენია, ჩვენ მხოლოთ ჩვენი პირუტყული მოთხოვნილებისა და ვნების დასაკმაყოფილებლათ გადავაქციეთ. მის მაგივრათ, რომ ერთმანეთის შეუყლებით, ერთად ცხოვრებითა და შრომით ქალსა და კაცს გაუადვილდეს, გაუნეტარდეს ეს ცხოვრება და ეს შრომა,—შეერთების შემდეგ ორიეს უძნელდება ცხოვრება და უმწარდება სიცოცხლე....

ამის შემდეგ რათ გიკვირთ, როცა გაიგონებთ, რომ ცოლი გაექცა ქმარსაო და სხვას წაჰყვაო, ქმარმა შუბლის მოჭედისათვის, ცოლს სცემაო? რათ გიკვირთ, ერთი მითხარით, როცა ჰხედავთ, რომ შვილი მამას არა გავს, რომ ვახტანგის მსგავსი შვილი სეხნიას ცოლს ეყოლა და სეხნიას მსგავსი — ვახუშტის ცოლსა?...

ს. წკეპლაძე.

ები ამოერჩიათ დეპუტატებად. გაზეთებში გამოცხადებულია ახლა ამ კენჭის ყრის შედეგი. სულ 4,000 დეპუტატი უნდა ამოერჩიათ. აქედამ ჯერ-ჯეროობით ნახევარი—2,000 —დეპუტატი ამოურჩევიათ, რომლიდამაც უმეტესი ნაწილი ზომიერი რესპუბლიკელები არიან, ე. ი. ისეთები, რომელნიც ახლანდელი მმართებლობის მომხრეებად ითვლებიან. ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ დიდ ქალაქებში, როგორც მაგალითად: პარიჟში, ლიონში, მარსელში და სხვ. რადიკალური რესპუბლიკელები ამოურჩევიათ ღენერალურ რჩევებში, რომელსაც ქალაქისა და მაზრების ყოველ-გვარი გამგეობა აქვს მინდობილი. ამას გარდა ცოტა ლეგიმისტები არიან ამორჩეულნი და ბონაპარტიელები მხოლოთ რამდენიმე კაცი. ᲥᲝᲠᲡᲘᲙᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲖᲔᲐᲪ, რომელიც ბუდეა ბონაპარტიელებისა, იმათგან სულ არავინ არ ამოურჩევიათ. გაზეთებში სწერენ, რომ ბონაპარტიელებში შნეიდერიც არის ამორჩეულია. ᲐᲮ ᲙᲔᲜᲭᲘᲡ ᲧᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ახლანდელი მმართებლობა, რასაკვირველია, უფრო მაგრათ მოიდგამს ფეხს და ბონაპარტიელებს მომხრეები მოაკლდებათ. მაგრამ ისინი თავისას მაინც არ იშლიან. ᲑᲝᲜᲐᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲔᲔᲑᲘ, ამბობენ, ორ პარტიათ არიან გაყოფილნი: ერთის თავი რუერია თურმე და მეორესი ᲙᲚᲔᲛᲐᲜ ᲓᲘᲣᲕᲔᲠᲜᲣᲐ. პირველ პარტიას შეადგენენ ახალგაზდა, ცხარე ბონაპარტიელები, რომელნიც თხოულობენ, ახლავე დავიწყოთ საქმე, არეულობა მოვახდინოთ და ᲜᲐᲞᲝᲚᲔᲝᲜᲘ დავსვათ საფრანგეთის ტახტზედაო. ᲙᲚᲔᲛᲐᲜ ᲓᲘᲣᲕᲔᲠᲜᲣᲐᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲔᲔᲑᲘ კი ამბობენ, ნუ ავჩქარდებით, წყნარათ ვიმუშაოთ და ჩვენ ჩვენსას ვიზამთო. პარიჟში მღვდლებსა და ეაჭრებს ჭსურთ თურმე ᲜᲐᲞᲝᲚᲔᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ; მღვდლებს იმისთვის რომ ახლანდელ მმართებლობას ემდურებიან, რათ მისცა ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲙᲝᲠᲝᲚᲡ ᲠᲝᲛᲘᲡ დაჭერის ნებაო და კიდევ იმისთვის, რომ ᲜᲐᲞᲝᲚᲔᲝᲜᲘᲡ ᲪᲝᲚᲘ, ᲔᲒᲔᲜᲘᲐ, დიდი თაყვანისმცემელია ფრანგების სამღვდელოებისა, რომელსაც იმედი აქვს, იმის დროს, რაც გვინდა, იმას ვიზამთო. ᲕᲐᲭᲠᲔᲑᲡ ᲙᲘ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ჭსურთ ᲜᲐᲞᲝᲚᲔᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ, რომ ფულიან ხალხს ის ყოველთვის პატივს სცემდა და მუშების გულისათვის არ ავიწროებდა.

საფრანგეთის მმართებლობამ ფინანსის მინისტრი, ᲞᲝᲘᲔ ᲥᲝᲠᲢᲘᲔ, გაგზავნა ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲨᲘ საფრანგეთიდამ ᲖᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ გაყვანის თაობაზე მოსალაპარაკებლად. ᲢᲘᲔᲠᲛᲐ ᲞᲝᲘᲔ ᲥᲝᲠᲢᲘᲔᲡ ქაღალდი გაატანა, რომელშიაც სწერია, რომ საფრანგეთის მმართებლობამ იმის „ცოდნას, გამოცდილებას, პატიოსნებას და პატრიოტობას მიანდო ისეთი პირობის შეკვრა ᲖᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲡᲗᲐᲜ, რომლის ძალითაც საფრანგეთის ექვსი პროვინციიდამ უნდა გავიდნენ ნემცების ჯარები.“

— ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲔᲗ სწერდენ ფრანცუზულ გაზეთებში, რომ, საზოგადოების მოთხოვნილებით, მმართებლობამ ᲥᲝᲛᲣᲜᲘᲡ თაობაზე დატყვევებული პირები უნდა გაათავისუფლოსო, საზოგადო ამნისტია უნდა გამოაცხადოს ისეთი პირებისთვის, რომელთაც, პარიჟის არეულობის დროს, კაცის მკვლელობაში და ცეცხლის წაკიდებაში არ იყვნენ გარეულიო. ᲥᲝᲛᲣᲜᲘᲡ თაობაზე დატყვევებულების რიცხვი 35,000 კაცზე მეტი იყვნენ, და ამას გარდა კიდევ თითქმის ყოველ დღე რამდენსაც კაცს ატუსაღებდნენ ხოლმე. მმართებლობა აპირებს ახლა, როგორც ამბობენ, ყველა უბრალო დამნაშავეების განთავისუფლებას იმ პირობით, რომ თუ რომელიმე იმათგანი საჭირონი იქნებიან საქმის წარმოების დროს, უთუოთ უნდა გამოცხადდენ სამხედრო სასამართლოში. ამას გარდა ᲢᲘᲔᲠᲡ გაუცია ბრძანება პოლიციაში, რომ შემდეგში ნურავის დაატუსაღებთ, თუ ნამდვილი საბუთები და დამტკიცებები არ იქნება დანაშაულობისაო. ᲞᲠᲘᲕᲔ ᲔᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ საზოგადოებას სასიამოთ დარჩა.

— ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲝᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, საფრანგეთის ჯარში, ვინც ღირსი იყო და არა, ყველას ჩინებსა და საჩუქრებს აძლევდნენ. ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲛᲐ ᲛᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲐᲛ დანიშნა სხვა კომისიებს შორის ერთი ისეთი, რომელიც არჩევს, ღირსეულათ მიიღეს აფიცრებმა და ღენერლებმა ჩინები და საჩუქრები თუ არაო. ᲐᲛ ᲙᲐᲛᲘᲡᲘᲐᲛ გამოაცხადა ახლა, რომ თერთმეტ ღენერალს უკანონოთ და უღირსეულათ მიუღიათ ღენერლის ჩინიო და ამიტომ ეს ჩინი იმათ უნდა ჩამოერთვა. ᲐᲛᲐᲡ გარდა ამავე კომისიამ უკმაყოფილება გამოუცხადა იმ აფიცრებსა და ღენერლებს, რომელნიც ᲖᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ტყვეობის დროს ნემცებისაგან საჩუქრებს იღებდნენ და ამ ნაირათ დაამცირეს თავის თავისა და საფრანგეთის ღირსება.

— ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ქალაქის რესპუბლიკელებისაგან ამას წინეთ ᲢᲘᲔᲠᲡ მოლოცვა და ადრესი მოუვიდა, საფრანგეთში 4 სექტემბერს რესპუბლიკის დაწესების თაობაზე. ᲐᲛ წიგნზე, ᲢᲘᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲘᲚᲝᲑᲘᲗ, ᲑᲔᲠᲢᲔᲚᲔᲛᲘ-ᲡᲐᲜᲢ-ᲘᲚᲔᲠᲛᲐ მისწერა იმათ წიგნი, რომელშიაც ამბობს, რომ თუ რესპუბლიკელები კეთილ-გონიერებითა და ზომიერებით მოიქცევიან, რესპუბლიკა დამკვიდრდება საფრანგეთში და ამასთანავე მშვიდობიანობა და თავისუფლება ერთად მოთავსდებიანო, რომელნიც ყოველი ხალხის კეთილ-დღეობისათვის აუცილებელათ საჭირონი არიანო. „ᲗᲣ რესპუბლიკელები გონიერულათ მოიქცევიან, მე დარწმუნებული ვარო, ამბობს ᲢᲘᲔᲠᲘ, საფრანგეთში თავის დღეში აღარ მოხდება რევოლიუცია.“

— ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ დამვლევს ᲕᲔᲠᲡᲐᲚᲨᲘ მოკვდა უეცრათ საფრანგეთის შინაგანი საქმეების მინისტრი, ᲚᲐᲛᲑᲠᲔᲥᲢᲘ. ᲘᲛᲘᲡ ᲐᲚᲐᲒᲖᲔ, როგორც „ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ“ იწერებიან, ᲙᲐᲖᲘᲛᲘᲠ ᲞᲔᲠᲘᲔ დაუნიშნავთ.

— ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲘᲡ გაზეთებში ᲞᲐᲠᲘᲟᲘᲓᲐᲛ მოსული ტელეგრამმები დაბეჭდილი, რომლებიდამაც სჩანს, რომ საფრანგეთში ღენერალურ რჩევებისთვის დეპუტატების კენჭის ყრა გათავებულა და უმეტესი ნაწილი ახლანდელი მმართებლობის მომხრეები ამოურჩევიათ. ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ გაზეთებში ამორჩეულების ერთი ნაწილის რიცხვიცაა მოყვანილი: ამოურჩევიათ: 867 კონსერვატიელები (ახლანდელი მმართებლობის მომხრეები), 494 ზომიერი რესპუბლიკელები, 201 რადიკალური რესპუბლიკელები, 194 ლეგიტიმისტები (ᲝᲠᲚᲔᲐᲜᲘᲡᲐ და ᲑᲣᲠᲑᲝᲜᲘᲡ მოხრეები) და ბოლოს 94 ᲑᲝᲜᲐᲞᲐᲠᲢᲘᲔᲚᲘ.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ᲔᲠᲗᲘᲡ ინგლისურს გაზეთში დაბეჭდილია ერთი უბრალო მუშის—პოტერის—სტატია, რომელიც ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ მუშებში რესპუბლიკური აზრების გავრცელების თაობაზე ამბობს: „რესპუბლიკური აზრების გავრცელების მიზეზი ის არის, რომ უბრალო ხალხს ახლანდელი მართებლობა ერთობ ძვირათ უჯდება.“ პოტერის აზრით, ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ შემდეგი რეფორმებია საჭირო: მართებლობისათვის ახლანდელზე უფრო ნაკლები ფულები უნდა იხარჯებოდეს. ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲡ უნდი წავბაძოთო. ᲚᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲚᲐᲢᲐ ან სულ უნდა მოისპოს, ან უნდა შეიცვალოსო. ᲥᲔᲜᲭᲘᲡ ᲧᲠᲘᲡ წესიც უნდა შეიცვალოს. ᲛᲘ�წᲐ-ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘᲐᲪ აგრეთვე ისეთი ცვლილება უნდა მოხდეს, რომ ხალხი უმიწა-წყლოთ არ რჩებოდეს; ამისთვის საჭიროა, რომ მიწის პატრონის სიკვდილის შემდეგ იმის მამულები თანასწორათ გაიყოს. ᲐᲛᲐᲡ გარდა საზოგადო და მონასტრების მიწები, აგრეთვე მადნები ხაზინაში უნდა შეირაცხოს და ხაზინამ უმიწა-წყლო და ღარიბ ხალხს დაურიგოს. ᲑᲝᲚᲝᲡ ᲞᲝᲢᲔᲠᲘ ამბობს, რომ ახლანდელი პარლამენტი ისეთ წევრებისაგან არის შემდგარიო, რომ ის ხალხის საჭიროებას და მოთხოვნილებას ვერ გაიგებს და ამიტომ ისე უნდა შეიცვალოსო, რომ იმის წევრებათ უბრალო ხალხის წარმომადგენლებიც იყვნენო.

— ᲘᲛ დიდ საზოგადოებას, რომელსაც სამ მილიონამდი წევრები ჰყავს და რომელსაც „ხალხთა შორის მუშების საზოგადოებას“ ეძახიან, მარშან უნდა ჰქონოდა ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ დიდი კრება; ამ კრებაზე ყველა განყოფილებების წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ; ომიანობის გამო, ეს კრება არ მოხდა და მის ნაცვლათ წელს უნდოდათ შეკრება; მაგრამ პარიჟის არეულობის გამო. რომელშიაც იმათ წევრებმა მიიღეს, მონაწილეობა ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ სახელმწიფოების მართებლობებმა და საზოგადოებამაც დეენა დაუწყეს და ამიტომ, საზოგადო კრების მაგივრათ, მხოლოთ 26 სხვა და სხვა ქვეყნების წარმომადგენელნი მოიწვიეს და საიდუმლო კრება დანიშნეს ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘᲕᲔ. ᲐᲛ კრებაზე დაესწრენ: 'მეიდი დეპუტატი საფრანგეთიდამ, ოთხი ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ, სამი დეპუტატი ᲖᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ მუშების საზოგადოებისაგან, ორი შვეიცარიიდამ, ხუთი ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲓᲐᲛ და თითო ᲔᲡ�პᲐᲜᲘᲘᲓᲐᲛ, ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲘᲓᲐᲛ, ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲓᲐᲛ და ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲓᲒᲐᲜ. ᲙᲠᲔᲑᲐᲛ 15 კაცი ამოარჩია საზოგადოების საქმეების გამგებლებათ, რომელნიც მუდამ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ არიან და ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ შეადგენენ. ᲙᲐᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ თავი ნემეცი—ᲙᲐᲠᲚ ᲛᲐᲠᲙᲡᲘᲐ, რომელმაც კრებას საზოგადოების მოქმედების ანგარიში წაუკითხა. ᲙᲠᲔᲑᲐᲛ გადაწყვიტა, რომ განსაკუთრებითი ყურადღება საფრანგეთისა და რუსეთის მუშებს უნდა მივაქციოთო.“

— ᲘᲛᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ დიდ ქალაქებში, სადაც ქარხნები და ფაბრიკებია, ამ უკანასკნელ დროს ბევრმა მუშებმა დაანებეს თავი მუშაობას და მექარხნეებს თხოვდნენ, მუშაობის დრო შეგვიმცირეთ და დღიური ქირაც მოგვიმატეთო. ᲜᲘᲣᲙᲐᲡᲢᲚᲨᲘ, სადაც გამოჩენილი ნახშირის მადნებია და სადაც მუდამ დღე რამდენიმე ათასი ქალი და კაცი მუშაობს, მექარხნეები და მუშები მორიგებულნან შემდეგი პირობით: მუშები დღეში, 12 საათის მაგივრათ, მხოლოთ ცხრა საათს იმუშავებენ, მაგრამ მის ნაცვლათ, როცა განსაკუთრებით ბევრი მუშაობა იქნება, ისინი, მექარხნის თხოვნით, ვალდებულნი არიან დანიშნულ დროზედ მეტი იმუშაონ. მუშაობის ფასი კი ისევ ძველებურათ დარჩება.

— ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲠᲝᲚᲔᲕᲐ ამას წინეთ ავათ იყო; ახლა იწერებიან, ის უკეთ არისო.

— ᲔᲠᲗᲡ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ქალაქში მიტინგი იყო, რომელზედაც 10,000 კაცი დასწრებია. მიტინგს გადაუწყვეტია, ერთხმით ვითხოვოთო, რომ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐᲡ თავის განსაკუთრებული მმართებლობა და პარლამენტი მიეცესო.

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲐ

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ნემცებსა და ჩეხებს შუა მუდამ უკმაყოფილება და განხეთქილებაა იმის გამო, რომ ჩეხებიც იმავე უფლებებს თხოულობენ, როგორიც ნემცებსა აქვთ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐᲨᲘ. ᲐᲛᲘᲡ გამო ამ უკანასკნელ დროს კამისია იყო დანიშნული, რომელსაც ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲘᲡ ამ ორი ხალხის გათანასწორება და მორიგება უნდა მოეხდინა. ᲐᲛ ᲙᲐᲛᲘᲡᲘᲐᲛ გამოსცა ძლიერ შესანიშნავი ანგარიში თავის მოქმედებისა, რომელშიაც სწერია, რომ ყოველმა ნემეცმა, რომელიც ᲑᲝᲒᲔᲛᲘᲐᲨᲘ (ᲩᲔᲮᲘᲐᲨᲘ) სამსახურს მოინდომებს, უთუოთ ჩეხური ენა უნდა იცოდესო. მოგვყავს ამის თაობაზე კამისიის სიტყვები:

„ᲔᲭᲕᲘ არ არის, რომ ყოველმა ჩინოვნიკმა უნდა იცოდეს იმ ხალხის ენა, რომელსაც ის ემსახურება და რომლიდგანაც ის ჯამაგირს იღებს. ᲩᲘᲜᲝᲕᲜᲘᲙᲔᲑᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ არიან დანიშნულნი, იმათ უნდა იცოდნენ ამ საზოგადოების მოთხოვნილება და საჭიროება; თუ ენა არ იციან, როგორ ემსახურებიან საზოგადოებას და როგორ გაიცნობენ იმის საჭიროებას? რასაკვირველია, კაცი ვერაფის ძალას ვერ დაატანს, რომ ის უთუოთ ჩინოვნიკათ გახდეს; მაგრამ თავის ნებით თუ გახდა ჩინოვნიკათ და საზოგადოებისაგან ჯამაგირს იღებს, იმან უთუოთ ამ საზოგადოების ენა უნდა იცოდეს და თუ არ იცის, უნდა ისწავლოს. ᲐᲛᲜᲐᲘᲠ მდგომარეობაშია ᲑᲝᲒᲔᲛᲘᲘᲡ ნემცების და ჩეხების საქმე და ამიტომ ყველა ნემეცმა, რომელსაც ᲑᲝᲒᲔᲛᲘᲐᲨᲘ სამსახური ჰსურს, ჩეხური ენა უნდა იცოდეს.“

— ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ 22 ᲕᲔᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ სტუდენტებს არეულობა მოუხდენიათ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ახლად ამორჩეული რექტორი პირველად მისულიყო უნივერსიტეტში; იქვე ყოფილიყო იმ დროს ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ სახალხო განათლების მინისტრი, ᲘᲠᲔᲩᲙᲘ და სახელმწიფო კანცლერი, ᲑᲔᲘᲡᲢᲘᲪ. სტუდენტებმა დემონსტრაცია გაუკეთეს (კიჟინა დაჰკრეს) ᲘᲠᲔᲩᲙᲡ, და ᲑᲔᲘᲡᲢᲡ კი „ᲣᲠᲐ!“ დასძახეს და თანაგრძნობით მიეგებენ.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ერთი დიდი უბედურება მომხდარა: წასულ სექტემბერში ერთ იქაურ დიდ ქალაქს ჩიკაგოს წაჰკიდებია ცეცხლი და, რადგან ქარიანი დღე ყოფილა, თითქმის ნახევარი ქალაქი სულ გადამწვარა. ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲘᲡ განმავლობაში, დილიდამ საღამომდი, თორმეტი ათასი სახლი დამწვარა და სანამ დიდი წვიმა არ მოსულა, მანამ ცეცხლი ვერას გზით ვერ დაუქვრიათ. 75,000 ოჯახი უსახლ-კაროთ დარჩენილა. ᲥᲐᲚᲐᲥᲡ 200 მილიონის ზიანი მისცემია. ᲖᲐᲓᲐᲛᲬᲕᲐᲠ მცხოვრებლებს მუდამ დღე მოსდით თურმე სხვა ქალაქებიდამ და ქვეყნებიდამ აუარებელი ხორაგი, ტანისამოსი და ფული. ᲯᲔᲠ-ᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ გადამწვარი ქალაქის ნანგრევებში 100 დამწვარი კაცი და ქალი უნახავთ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔ 40 კაცი ჩამოუღვჩვიათ, რომელნიც ცეცხლის დროს ცარცვაში შეუსწრიათ და დაუჭერიათ.

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ

„ᲠᲣᲡᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲐᲥᲛᲔ

მოსკოვის ოლქის სასამართლოში სექტემბრის 24-ს „ᲠᲣᲡᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲘᲡ“ რედაქტორისა და გამომცემლის საქმეს არჩევდენ. ᲐᲛᲐᲡ აბრალებდენ ბეჭდვის კანონების დარღვევასა. ᲐᲛ საქმის გარემოება ბრალმდებელ აქტში აი როგორ არის აწერილი: „მოსკოვის ობერ-პოლიციმეისტერმა აცნობა ოლქის სასამართლოს პროკურორს, რომ „ᲠᲣᲡᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲘᲡ“ მე-53 ნომერში დაბეჭდილია ცნობა, რომ ერთ რიგის მოქალაქეს უნახავს ყალბი 50 მანეთიანი ასიგნაცია. რადგანაც ამ ამბის გამჟღავნება საქმის გამოძიებას აენებს, ამიტომ უფ. ᲝᲑᲔᲠ-ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲛᲔᲘᲡᲢᲔᲠᲘ თხოულობს, რომ „ᲠᲣᲡᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲘᲡ“ რედაქტორი და გამომცემელი სამართალში იყოს მიცემული. ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲛᲐᲪ ამ ამბის გამჟღავნებაში კანონისა და სენატის უკაზის დარღვევა დაინახა და მისცა ზემოხსენებული გაზეთის რედაქტორი და გამომცემელი სამართალში. ᲗᲐᲕᲘᲡ-ᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ კითხვაზე, ბრალდებულმა სთქვა, რომ ის თავის თავს დამნაშავედ არ ჰპოებს. ᲘᲛᲘᲡ დამცველმა თავის გასამართლებელ სიტყვაში აი სხვათაშორის რა თქვა:

„ᲗᲣᲛᲪ ერთი შეხედვით ის პროცესი ძალიან უბრალო და ყურადღების ღირსიც არ არის, მაგრამ მე უმორჩილესად გთხოვთ, უფ. მსაჯულნო, განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციოთ ამ საქმეს, რადგან ყოველი ბეჭდვის საქმე ღირსია სრული ყურადღებისა. ᲗᲣ თქვენ ახლა გაამტყუნეთ ჩემი კლიენტი, ამით თქვენ გაზეთებს სამუდამოთ წაართმევთ უფლებას—სხვა და სხვა ამბები და ქალაქის შემთხვევები აცნობონ საზოგადოებას და ამასთანავე პოლიციას მისცემთ შეძლებას, თავის ნებით, მოიქცენ ამ საქმეში და თავის სურვილისა მებრ გაუმხილონ ან დაუმალონ საზოგადოებას ყოველი ქალაქში მომხდარი შემთხვევა ან დანაშაურობა. „ᲠᲣᲡᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲘᲡ“ გამტყუნებით, თქვენ პოლიციას დაუმორჩილებთ გაზეთებს, რადგან პოლიციაზე იქნება დამოკიდებული იმათი დევნის დაწყება და სამართალში მიცემა; და ამისთანა შემთხვევები, ამისთანა მასალები, ყოველ გაზეთში ურიცხვი მოიპოება, რადგან გაზეთებში მუდამ ჰბეჭდენ ამა და ამ ადგილას, ამა და ამ დროს, ესა და ეს შემთხვევა. ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲐ, ან სხვა რამ ცუდ-კაცობა მოხდაო.“

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ცოტა ხნის მოლაპარაკების შემდეგ, მსაჯულები გამოვიდნენ ზალაში და გამოაცხადეს თავიანთი გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც „ᲠᲣᲡᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲘᲡ“ რედაქტორი და გამომცემელი ამ საქმეში გამართლებული შეიქნა.

ᲜᲐᲠᲔᲕᲘ

* * *

ᲔᲠᲗᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ გაზეთში სწერენ, რომ ერთი გამოჩენილი სწავლული ქალი, ᲔᲛᲘᲚᲘᲐ ᲕᲣᲓᲓᲘ, მომეტის უნივერსიტეტში პროფესორათ დანიშნესო. მეორე ქალი ერთ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ მღვდლათ დაუნიშნავთ.

* * *

ᲐᲛᲐᲡ წინეთ ერთ ᲖᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ქალაქში, ᲕᲘᲣᲠᲪᲑᲣᲠᲚᲨᲘ, ქალების კრება იყო, რომელზედაც ახალგაზდა ქალების უფლებებზე, ვალდებულებაზე და ალზრდაზე ჰქონდათ სჯა. ᲐᲛ ნაირი ქალების კრება, რომელზედაც ესენი თავიანთ მდგომარეობაზე ლაპარაკობენ, ყოველ წელიწადს არის ხოლმე ᲕᲘᲣᲠᲪᲑᲣᲠᲚᲨᲘ და ყოველ წელიწადს ქალების მდგომარეობის სხვა და სხვა მხარეებზე სჯიან.

* * *

ᲔᲠᲗᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ქალაქში, ᲑᲣᲜᲘᲜᲒᲠᲝᲜᲨᲘ, შესდგა ქალების საზოგადოება, რომლის წევრებმა სიტყვა მისცეს ერთმანეთს, რომ იმ კაცებთან, რომელნიც თუთუნს ან ᲑᲣᲠᲜᲣᲗᲡ სწევენ, არასოდეს არავითარი საქმე არ დავიჭიროთო, და იმათ არც ცოლათ წავყვეთო.....

ᲫᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ახირებული ხალხია ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ!...

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Октября, 1871 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ს. ᲛᲔᲡᲮᲘ. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲘ ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ.